SEPTEMBER 12 12:00

კიან სოლტანი – ჩელო
ჯეჰონგ პარკი – ფორტეპიანო
რეზა ვალი (*1952)
სპარსული ხალხური სიმღერები: Set No. 16C
მონატრება
დაკარგული სატრფოს ხსოვნისათვის
გოგონა შირაზიდან
სიყვარულით მთვრალი (Mastom-Mastom)
სომხური ხალხური სიმღერის სტილში
წარმოსახვითი ხალხური სიმღერა
ხორასნის ხალხური სიმღერა

ეროლინ ვოლენი (*1958)
„დერვიში“

სერგეი რახმანინოვი (1873–1943)
სონატა ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის სოლ მინორი, თხზ. 19
Lento – Allegro moderato
Allegro scherzando
Andante
Allegro mosso

Kian Soltani – Cello
Jaehong Park – Piano

Reza Vali (*1952)
Persian Folk Songs: Set No. 16C
Longing
In Memory of a Lost Beloved
The Girl from Shiraz
Love Drunk (Mastom-Mastom)
In the Style of an Armenian Folk Song
Imaginary Folk Song
Folk Song from Khorasan

Errollyn Wallen (*1958)
Dervish

Sergei Rachmaninoff (1873–1943)
Sonata for Cello and Piano in G Minor, Op. 19
Lento – Allegro moderato
Allegro scherzando
Andante
Allegro mosso
□
პროგრამის შესახებ
ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

რეზა ვალი – შვიდი სპარსული ხალხური სიმღერა
ირანში დაბადებულმა რეზა ვალიმ ხალხური მუსიკის შეგროვება ჯერ კიდევ თეირანის კონსერვატორიაში სწავლისას დაიწყო და ამ საქმიანობას შემდეგაც აგრძელებდა. 1978 წლიდან მან სპარსული ხალხური სიმღერების მრავალნაწილიანი ციკლების შექმნას მიჰყო ხელი — ზოგჯერ უშუალოდ მის მიერ ჩაწერილ ავთენტურ, ზოგჯერ კი საკუთარი, ხალხური სიმღერის სტილში შექმნილ მელოდიებზე დაყრდნობით. დღევანდელი შვიდი პიესა ამ ხანგრძლივი პროექტის მეთექვსმეტე ნაკრების (Set No. 16C) ვერსიაა ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის. იგი 2016 წელს შეიქმნა კიან სოლტანისთვის და მასვე მიეძღვნა. 2018 წელს სოლტანიმ პიანისტ აარონ პილსანთან ერთად ნაწარმოები Deutsche Grammophon-ის ალბომში Home ჩაწერა — ეს მსოფლიო პრემიერის ჩანაწერი იყო. შვიდი სათაურიც ციკლის წარმოშობასა და ფართო გეოგრაფიას გვამცნობს: აქ გვერდიგვერდ გვხვდება შირაზი, ხორასანი, სომხური ხალხური სიმღერის სტილი, პირადი მონატრება და თავად კომპოზიტორის მიერ შექმნილი „წარმოსახვითი ხალხური სიმღერა“.

ეროლინ ვოლენი – „დერვიში“
„დერვიში“ 2001 წელს შეიქმნა ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის და კომპოზიტორ ჯონათან ლოიდს მიეძღვნა. ნაწარმოები პირველად იმავე წლის 29 ივნისს ლონდონის ვიგმორ ჰოლში შესრულეს ჩელისტმა მეთიუ შარპმა და პიანისტმა დომინიკ ჰარლენმა. სათაური სუფიურ ტრადიციას უკავშირდება: მბრუნავი დერვიშების რიტუალი მოძრაობას, მედიტაციასა და სულიერ კონცენტრაციას აერთიანებს. თავად ვოლენის ვერსიით, ნაწარმოები ამ ტრადიციის ორი თითქოს ურთიერთსაპირისპირო მხარის — „ექსტაზური და მშვიდი ერთგულებისა“ და „სისწრაფეში არსებული ვნების“ — იდეასთან არის დაკავშირებული. „დერვიში“ იმავე წელს ჩაიწერა ვოლენის საავტორო ალბომშიც.

სერგეი რახმანინოვი – სონატა ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის სოლ მინორი, თხზ. 19
რახმანინოვმა თავისი სოლ-მინორული ჩელოს სონატა 1901 წლის ნოემბერში შექმნა. სონატა იმ მნიშვნელოვანი ნაწარმოებების ჯგუფს გაეკუთვნება, რომლებიც კომპოზიტორმა პირველი სიმფონიის 1897 წლის წარუმატებელი პრემიერის შემდეგ დაწყებული შემოქმედებითი კრიზისიდან გამოსვლის პერიოდში დაწერა. ამ დაბრუნების ყველაზე თვალსაჩინო ნიშნად მეორე საფორტეპიანო კონცერტი იქცა, რომლის პრემიერაც სონატამდე ცოტა ხნით ადრე შედგა; მისმა უზარმაზარმა წარმატებამ ახალი კამერული ნაწარმოები გარკვეულწილად დაჩრდილა. რახმანინოვი ფორტეპიანოს არა როგორც თანმხლებ, არამედ როგორც ჩელოს თანასწორ პარტნიორ ინსტრუმენტს აღიქვამდა — ეს კონცეფცია ნაწარმოების თავდაპირველ სახელწოდებაშიც აისახა: სონატა ფორტეპიანოსა და ჩელოსთვის. საფორტეპიანო პარტია განსაკუთრებით მასშტაბური და ვირტუოზულია: მრავალი მთავარი თემა თავდაპირველად სწორედ ფორტეპიანოსთან ჟღერს, შემდეგ კი ჩელოს პარტიაში გადაიცემა, ვითარდება ან გარდაიქმნება. რახმანინოვმა სონატა მიუძღვნა თავის უახლოეს მეგობარს, გამოჩენილ რუს ჩელისტს ანატოლი ბრანდუკოვს, და მასთან ერთად შესრულა ნაწარმოების პრემიერა 1901 წლის 2 დეკემბერს მოსკოვში. საინტერესოა, რომ სოლ-მინორული სონატა ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის — თუ პირიქით? — რახმანინოვის ბოლო კამერული ნაწარმოები აღმოჩნდა. მომდევნო წლებში იგი ძირითადად მიმართავდა მასშტაბურ საორკესტრო და საგუნდო ჟანრებს და, რა თქმა უნდა, მუსიკას თავისი საყვარელი ინსტრუმენტისთვის — ფორტეპიანოსთვის.

ამ დროს საქართველოში...
1901 წელი, როდესაც რახმანინოვმა ჩელოს სონატა შექმნა, ქართული მუსიკის ისტორიაშიც განსაკუთრებულად საინტერესოა. სწორედ იმ წლის ივლისსა და აგვისტოში ზაქარია ფალიაშვილმა იმოგზაურა ქართლში, კახეთში, იმერეთსა და გურიაში ქართული ხალხური სიმღერების ჩასაწერად და შესაგროვებლად. ფალიაშვილი ამ საქმიანობას ჯერ კიდევ 1890-იან წლებში შეუდგა და სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა; ხალხური მუსიკის შესწავლა მოგვიანებით მისი შემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძვლად იქცა. ამგვარად, ამ საღამოს პროგრამაში საინტერესო ისტორიული პარალელიც ჩნდება: იმავე 1901 წელს, როდესაც მოსკოვში რახმანინოვი ახალ კამერულ ნაწარმოებს ქმნიდა, საქართველოში ახალგაზრდა ფალიაშვილი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდა და იმ მუსიკალურ მეხსიერებას აგროვებდა, რომელიც ქართული პროფესიული მუსიკის მომავალ განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს.
□
Programme Notes
Notes by Nino Jvania

Reza Vali – Seven Persian Folk Songs
Iranian-born Reza Vali began collecting folk music while still a student at the Tehran Conservatory and has continued that work throughout his career. From 1978 onward, he began creating an extended series of Persian folk-song sets, sometimes drawing on authentic melodies he had collected and sometimes writing what he calls music in the style of folk song. The seven pieces heard tonight form the cello-and-piano version, Set No. 16C, of this long-running series. Written in 2016 for Kian Soltani and dedicated to him, the set received its world-premiere recording in 2018, when Soltani recorded it with pianist Aaron Pilsan for his Deutsche Grammophon album “Home”. The seven titles themselves reveal the breadth of the collection: Shiraz and Khorasan stand beside an Armenian-inspired song, private longing, and an 'Imaginary Folk Song' created by the composer himself.

Errollyn Wallen – Dervish
„Dervish“ was composed in 2001 for cello and piano and dedicated to the composer Jonathan Lloyd. It was first performed on 29 June that year at Wigmore Hall in London by cellist Matthew Sharp and pianist Dominic Harlan. Its title points to the Sufi tradition of the whirling dervish, in which movement, meditation and spiritual devotion are inseparable. Wallen’s official materials connect the work with two apparently opposing qualities of that ritual: 'rapt and still devotion' and the 'passion that is in speed.' „Dervish“ was also recorded that year on Wallen’s portrait album The Girl in My Alphabet

Sergei Rachmaninoff – Sonata for Cello and Piano in G Minor, Op. 19
Rachmaninoff composed his G-minor Cello Sonata in November 1901. The Sonata belongs to the remarkable group of major works he wrote as he emerged from the creative crisis that followed the disastrous 1897 premiere of his First Symphony. The work that most clearly marked his recovery was the Piano Concerto No. 2, premiered only shortly before the Sonata; its enormous success somewhat overshadowed the new chamber work. Rachmaninoff regarded the piano not as an accompaniment but as an equal partner to the cello — a conception reflected in the work’s original designation as a Sonata for Piano and Cello. The piano part is exceptionally substantial and virtuosic: many of the principal themes are first introduced by the piano and subsequently taken up, expanded, or transformed by the cello. He dedicated the Sonata to his close friend, the prominent Russian cellist Anatoliy Brandukov, and gave the premiere with him in Moscow on 2 December 1901. Interestingly, the G-minor Sonata for Cello and Piano — or vice versa? — proved to be Rachmaninoff’s last chamber work. In the following years, he would devote himself primarily to large-scale orchestral and choral works and, of course, to music for his favourite instrument — the piano.

Meanwhile in Georgia...
The year 1901, when Rachmaninoff composed his Cello Sonata, was also an especially interesting one in Georgian musical history. During July and August of that year, Zakaria Paliashvili travelled through Kartli, Kakheti, Imereti and Guria, collecting and notating Georgian folk songs. Paliashvili had begun this work in the 1890s and continued it throughout his life; the study of folk music would become one of the essential foundations of his own creative language. A fitting historical parallel therefore runs through tonight’s programme: in the same year that Rachmaninoff was creating a new chamber work in Moscow, the young Paliashvili was travelling through Georgia, preserving the musical memory that would play a crucial role in the future development of Georgian professional music.